საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2016 წლის 21 ივნისის
დადგენილება №2026

მოდიფიცირებული პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

განხორციელდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 07 მარტის №147 ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შესაბამისად:

1. სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის“ მე-3 საფეხურის მოდიფიცირება;

2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების – "სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორის" და " ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის" მე-4 საფეხურის მოდიფიცირება.

საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების დეტალური აღწერა დადგენილებას თან ერთვის (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა.ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის №2026 დადგენილების დანართი

1. სამშენებლო ფაკულტეტის მე-3 საფეხურის მოდულურ პროფესიულ პროგრამაში – „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

   ა) პროგრამას დაემატა სავალდებულო ზოგადი მოდულები – „ქართული ენა“ A_2 15 კრედიტი და „სამოქალაქო განათლება“ 2 კრედიტი;

   ბ) მოდულების – „საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკის“ და „სამგანზომილებიანი მოდელირება და ვიზუალიზაციის (3DsMax)“ განმახორციელებელი უფროსი მასწავლებელი მზია დინუაშვილი ჩაანაცვლა უფროსმა მასწავლებელმა ნინო ფილფანმა და ასისტენტ პროფესორმა თინათინ მაღრაძემ;

2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მე-4 საფეხურის მოდულურ პროფესიულ პროგრამებში – ,,სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი“ და ,,ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი“ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: პროგრამას დაემატა სავალდებულო ზოგადი მოდულები – „ქართული ენა“ A_2 15 კრედიტი, „ქართული ენა“ B_1 15 კრედიტი და „სამოქალაქო განათლება“ 2 კრედიტი.